

# ტესტი ისტორიაში

## V ვარიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, კორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა მცირე აზიაში ძვ. წ. II ათასწლეულში?

ა) ასურეთის;

ბ) მიდიის;

გ) ხეთების;

დ) ფინიკიის.

(1) 2. არგიშთი I-ის წარწერიდან ირკვევა, რომ დამარცხებულისგან მან ხარკის სახით აიღო: 41 მინა ოქრო, 37 მინა ვერცხლი და 10 ათასი მინა სპილენძი. რომელი სახელმწიფოსგან აიღო ეს ხარკი ურარტუს მეფემ?

ა) კოლხას;

ბ) ბაბილონის;

გ) მითანის;

დ) დიაოხის.

(1) 3. რა სიახლე შემოიტანა სამხედრო საქმეში მაკედონიის მეფე ფილიპე II-მ?

ა) შექმნა საბრძოლო წყობა ფალანგა;

ბ) გამოიგონა სააღყო იარაღი ტარანი;

გ) ჯარის ცალკე სახეობად გამოყო კავალერია;

დ) ქვეითი ჯარი დაყო კოჰორტებად.

(1) 4. რომელი მოვლენა უკავშირდება ირანის შაჰის, ხოსრო I-ის სახელს?

ა) ქალაქ პერსეპოლისის დაარსება;

ბ) სელევკიდების სამეფოს დამორჩილება;

გ) ახალი რელიგიური კულტის დაწესება;

დ) სახელმწიფოს დაყოფა ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულად.

(1) 5. რა მიუთითებს VI საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში ირანის გავლენის დამყარებაზე?

ა) მონოფიზიტობის აკრძალვა;

ბ) მეფობის გაუქმება;

გ) ისლამის გავრცელება;

დ) ამირას დანიშვნა.

(1) 6. რა მოვლენას მოჰყვა შედეგად ჰოსპიტალიერთა და ტამპლიერთა სარაინდო ორდენების დაარსება?

ა) სელჩუკთა გამოჩენას ბალკანეთში;

ბ) რელიგიური ომების დაწყებას ევროპაში;

გ) პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას წმინდა მიწაზე;

დ) არაბთა წინააღმდეგ ბრძოლას პირენეის ნახევარკუნძულზე.



(1) 7. რომელი მსჯელობაა მართებული 1122 წელს დადებული ვორმსის კონკორდატის შესახებ?

- ა) ხელშეკრულების თანახმად რომის პაპმა და გერმანიის იმპერატორმა ინვესტიტურის უფლება გაინაწილეს;
- ბ) შეთანხმებით გერმანიის და ფრანკთა იმპერატორებმა ევროპაში ტერიტორიები გაინაწილეს;
- გ) ფრანკთა და ბიზანტიის იმპერატორებმა რომის ყოფილი იმპერიის ტერიტორია გაიყვეს;
- დ) კონსტანტინოპოლის პატრიარქმა და რომის პაპმა აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების გაყოფა დაასრულეს.

(1) 8. რომელი ქალაქი აიღეს ქართველებმა გიორგი III-ის მეფობისას?

ა) ტრაპიზონი;

ბ) არზრუმი;

გ) დარუბანდი;

დ) ანისი.

(1) 9. რომელი მსჯელობაა მართებული მონღოლთა ლაშქრობების შესახებ?

- ა) მანგუ ყაენის მმართველობისას მონღოლებმა წარმატებით დალაშქრეს ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები;
- ბ) ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ წარმოებული ლაშქრობებისას მონღოლებმა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიც დალაშქრეს;
- გ) ჰულაგუ ყაენის მეთაურობით მონღოლებმა რამდენჯერმე დალაშქრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები;
- დ) ყუბილაი ყაენის წარუმატებელი ლაშქრობების გამო მონღოლებმა საბოლოოდ დაკარგეს კონტროლი ჩინეთზე.

(1) 10. რომელი ინფორმაცია არ არის მართებული XIV საუკუნის 20-40-იან წლებში საქართველოში მომხდარი მოვლენების შესახებ?

- ა) მოხერხდა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა;
- ბ) სახელმწიფომ დაიბრუნა საერთაშორისო ავტორიტეტი;
- გ) აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია;
- დ) შეიქმნა სამართლის ახალი კოდექსი.

(1) 11. რომელი მსჯელობაა მართებული ინგლისის მეფე ჰენრი VIII-ის შესახებ?

- ა) რეფორმაციის დაწყებისას მეფემ მხარი რომის პაპს დაუჭირა, თუმცა შემდეგ თავადაც დაუპირისპირდა პაპს;
- ბ) მეფე თავიდანვე რომის პაპის მოწინააღმდეგე იყო და ამიტომ აქტიურად უჭერდა მხარს ფრანგ ჰუგენოტებს;
- გ) რომის პაპის მოწოდებას, დაეცვათ ქრისტიანობა, მეფე მალევე გამოეხმაურა და სამეფოში ინკვიზიცია დააარსა;
- დ) მეფე პოლიტიკური მოსაზრებით თავიდანვე მხარს უჭერდა რეფორმაციას, რამაც იგი რომის პაპთან დააპირისპირა.

(1) 12. რა მოვლენა უკავშირდება ივანე IV-ის მმართველობას?

- ა) შვედების დამარცხება პოლტავის ბრძოლაში;
- ბ) ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობა;
- გ) ოქროს ურდოს დამარცხება კულიკოვოს ბრძოლაში;
- დ) ყირიმის სახანოს საბოლოო დამორჩილება.

(1) 13. ვინ დაამარცხა ოსმალები 1683 წელს ქალაქ ვენასთან გამართულ ბრძოლაში?

ა) პოლონეთის მეფე იან სობესკიმ;

ბ) საღვთო რომის იმპერატორმა კარლოს V-მ;

გ) უნგრეთის მეფე იანოშ ჰუნიადიმ;

დ) შვედეთის მეფე კარლოს XII-მ.

(1) 14. რას ეწოდებოდა რისორჯიმენტო?

- ა) გერმანიის იმპერიის შექმნას;
- ბ) ესპანეთის მუსლიმთაგან გათავისუფლებას;
- გ) იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლას;
- დ) სამხრეთ ამერიკის კოლონიზაციას.



(1) 15. რომელი მსჯელობაა მართებული 1919 წლის პარიზის საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით?

- ა) ხელშეკრულების უმძიმესმა პირობებმა გერმანიაში რევანშისტული განწყობილებები გააღვივა, რამაც შემდგომში ნაცისტების გამარჯვებას შეუწყო ხელი;
- ბ) შეთანხმების პირობებმა არ დააკმაყოფილა აშშ-ს დელეგაცია, ამიტომ მისმა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ერთა ლიგის სხდომებში მონაწილეობაზე;
- გ) ზავის თანახმად რუსეთმა ვერ მიიღო სათანადო ეკონომიკურ-ფინანსური კომპენსაციები, რამაც საერთო ვითარების გაუარესება და რევოლუცია გამოიწვია;
- დ) საბოლოო დოკუმენტმა საფრანგეთის წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც მათ ამ დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს.

### ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ აქემენიანი მმართველები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით.

1. ქსერქსე

2. დარიოს I

3. კიროს II

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ევროპის ისტორიაში მომხდარი მოვლენები.

1. გუტენბერგის მიერ წიგნის საბეჭდი დაზვის გამოგონება
2. ბოლონიის უნივერსიტეტის დაარსება
3. მარტინ ლუთერის მიერ ბიბლიის გერმანულად თარგმნა

(1) 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნეში საქართველოში განვითარებული მოვლენები.



1. აჯანყება კახეთში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ
2. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება
3. მეფისნაცვლის თანამდებობის დაწესება კავკასიაში

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





ზაფხულში ხორეზმშაჰმა ჯალალედინმა საქართველოში გაილაშქრა. როცა მათი შემოსევის ცნობამ ქართველებამდე მი-  
 ალწია, ჯარი შეკრიბეს, რომელსაც სათავეში ივანე მხარგრ-  
 ძელი ჩაუდგა. ორი ლაშქარი ერთმანეთს სოფელ გარნისთან  
 შეხვდა. ქართველები გორაკებზე განლაგდნენ, ხოლო ხორეზ-  
 მშაჰის ჯარი დაბლობში იდგა. როცა ჯალალედინი დარწმუ-  
 ნდა, რომ ქართველები დაბლობში ბრძოლას არ აპირებდნენ,  
 გადაწყვიტა, თვითონ წამოეწყო ბრძოლა. მან ჯარი სამ  
 ნაწილად დაყო. მარჯვნივ მშვილდოსნები განალაგა, ცენტრში  
 - კავალერია, ხოლო მარცხნივ მისი საუკეთესო, სიმამაცით  
 გამორჩეული მეომრები ჩააყენა. მეორე დღეს ხორეზმშაჰის  
 ჯარი გორაკებისკენ დაიძრა. წინ ყველაზე სწრაფად მარცხენა  
 ფლანგი მიიწევდა, რომელსაც ქართველთა მეწინავე რაზმი  
 დაესხა თავს შალვა ახალციხელის მეთაურობით და დროებით  
 უკუაგდო. მაგრამ ხორეზმელებს დამხმარე ძალები  
 ემატებოდათ, ჯალალედინის ლაშქარი წინ მიიწევდა. მაშინ  
 შალვა ახალციხელმა ივანე მხარგრძელს მაშველი ჯარის  
 გაგზავნა და ბრძოლაში მთელი ძალებით ჩართვა სთხოვა.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

## კითხვები:


- (1) **19.1.** რომელ დასახლებულ პუნქტთან გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და ხორეზმელებს შორის?
- (1) **19.2.** რა შედეგით დასრულდა ქართველთა მეწინავე რაზმისა და ხორეზმელთა პირველი შეტაკება?
- (1) **19.3.** ჯარის რომელი სახეობის შენაერთმა შეუტია ქართველთა მეწინავე რაზმს ფლანგიდან?
- (1) **19.4.** რა მოიმოქმედა ივანე მხარგრძელმა ბრძოლის მსვლელობისას შალვა ახალციხელის მიმართვის შემდეგ?



## ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

(2) **20.1.** რა სახის ბეჭდური პროდუქციაა ასახული ილუსტრაციაზე და რომელი პოლიტიკური ლიდერია მასზე გამოსახული?

(2) **20.2.** რა არის ილუსტრაციის მთავარი იდეა და ილუსტრაციაზე არსებული რომელი ინფორმაცია ადასტურებს თქვენ პასუხს?

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.


დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



რუკის პირობითი აღნიშვნები

- დასახლებული პუნქტი
- ღედაქალაქი
- ▲ ინანელთა მიერ აღებული ქალაქი
- ქართლ-კახეთის ლაშქრის გადაადგილების მიმართულება
- ირანის ლაშქრის გადაადგილების მიმართულება
- რუსეთის ლაშქრის გადაადგილების მიმართულება
- ოსმალეთის ლაშქრის გადაადგილების მიმართულება
- ქართლ-კახეთის სამეფო
- იმერეთის სამეფო
- ფშავი ქართლ-კახეთის სამეფოს მხარე
- ✕ მრძოლის ადგილი
- 1795 მრძოლის თარიღი
- საქართველოს თანამედროვე საზღვრები



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

(1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **21.2.** რომელი ქართული სამეფოა გამოსახული რუკაზე ნაწილობრივ?

(1) **21.3.** რუკის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში შემავალი რომელი ისტორიული მხარეებია დარჩენილი დღეს საქართველოს საზღვრებს მიღმა?

(1) **21.4.** რუკის მიხედვით, რომელ პოლიტიკურ ერთეულთან გადიოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვარი მხოლოდ მდ. ალაზანზე?

(1) **21.5.** რუკის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ ხალხები, რომლებიც სახლობდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ.

(2) **21.6.** რუკის მიხედვით, რომელი მდინარის ხეობის გასწვრივ მოაწყვეს ქართველებმა ლაშქრობა მეზობელ სახელმწიფოში და რომელ დასახლებულ პუნქტთან გაიმართა ბრძოლა?

(2) **21.7.** რომელი სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდა რუკაზე აღნიშნული ბოლო ბრძოლა? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ რუკაზე არსებული მონაცემების მიხედვით.

(2) **21.8.** რუკის მიხედვით, რომელი უცხო სახელმწიფოს ჯარი შემოვიდა ქართლ-კახეთის სამეფოში ქართულ ჯართან ერთად საბრძოლველად და შეასრულა თუ არა თავისი მოვალეობა? მოსაზრება დაასაბუთეთ რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.**

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 22.

XI საუკუნის 80-იან წლებში, „დიდი თურქობის“ დროს საქართველოს მეფემ, გიორგი II-მ დიდებულებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა ისპაჰანში სულთან მალიქ-შაჰს ხლებოდა. მეფის მრჩეველთა ერთი ნაწილი ამ გადაწყვეტილების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც გიორგი II-ის გადაწყვეტილების მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც გიორგი II-ის გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.



## დავალება 23.

საფრანგეთის პირველმა მინისტრმა კარდინალმა რიშელიემ ჰუგენოტების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა წამოიწყო. დიდებულთა ნაწილი რიშელიეს პოლიტიკის მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ჰუგენოტთა მიმართ რიშელიეს პოლიტიკის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ჰუგენოტთა მიმართ რიშელიეს პოლიტიკის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 24.

1215 წელს ინგლისის მეფემ ჯონ უმიწაწყლომ მიიღო დოკუმენტი „თავისუფლების დიდი ქარტია“.

### კითხვები:

(1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შედეგი.

(1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა ინგლისის ისტორიისათვის. აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

## ინსტრუქცია დავალებისათვის №25.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



## ნაწყვეტი „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“

ხუდაბანდა შაჰი იყო უძლური და უსინათლო კაცი. ყიზილბაშების რიგზე ვერ მართავდა სამეფოს. იმხანად საომრად გამოვიდა ხონთქრის ჯარი. დაიპყრო თავრიზი, ერევანი, განჯა, ყარაბაღი და მთელი ადარბადაგანი.

გარკვეული დროის შემდეგ სალაშქროდ დაირაზმა ხონთქრის გამზრდელი ლალა ფაშა. დაუხვდა მანუჩარ ათაბაგი, თავს დაესხა, ვერ შეძლო გამკლავება და ქართლში გადმოვიდა. ლალა ფაშამ დაიპყრო ციხესიმაგრეები სამცხეში.

შეიტყო ეს ამბავი ხუდაბანდამ. საპყრობილიდან გამოიყვანა სვიმონ მეფე, მისცა მრავალი საბოძვარი და გამოგზავნა ქართლში. დავითმა რომ გაიგო, ველარაფერი გააწყო, რადგან ყიზილბაშებმა მას ზურგი

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

აქციეს და სვიმონ მეფეს მიემხრნენ და ქართლელებსაც არ უყვარდათ ეს დაუდ-ხანი, სვიმონ მეფე ერჩიათ. გაუგზავნა კაცი ლალა ფაშას, რაც კი ქართლში ციხესიმაგრეები იყო, ყველა გადასცა. მათი მეციხოვნეები ჩააყენა და თვითონ სტამბოლში წავიდა ხონთქართან.

სვიმონი ქართლში ჩამოვიდა, აიღო გორის ციხე, დაიკავა ქართლი, თბილისის ციხის გარდა. ქსნის ერისთავსა და ამილახორს მისი შიში ჰქონდათ, რადგან დედოფალს უდიერად მოექცნენ. დაუწყეს პატიების თხოვნა. მეფემ ქსნის ერისთავს მეჯუდისხევი და ახალგორი, ხოლო - ამილახორს კი კარბი და კასპი ჩამოართვა.

ამის შემდეგ შემოესია ქართლს ხონთქრის სარდალი მეჰმედ ფაშა. აიღო გორის ციხე. მუხრანში

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

სვიმონ მეფეს შეებრძოლა. გაიმარჯვა სვიმონ მეფემ, ფაშამ კი თბილისის ციხეს შეაფარა თავი.

იმხანად ისევ შეკრიბა ლაშქარი სვიმონ მეფემ და დაიძრა ლორეს ასაღებად. მიადგა ლორეს, გამოვიდა იბრაჰიმ ფაშა, გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. გაიმარჯვა სვიმონ მეფემ, მრავალი ურუმი ამოწყდა, მაგრამ ციხე მაინც ურუმებს დარჩა.

გამოხდა ხანი, ისევ შეკრიბა მეფემ მხედრობა, წამოვიდა და მოადგა ლორეს ციხეს. იერიში მიიტანა და პირველ აპრილს აიღო. დაიპყრო ლორე, გამობრუნდა იქიდან და შინ დადგა.

გარკვეული დროის შემდეგ სვიმონი ტაბახმელაში დაბანაკდა. გაიგო ჰასან ფაშამ, რომელიც თბილისის ციხეში იდგა, ჯარი შეკრიბა და გამოვიდა, უნდოდა თავს დასხმოდა სვიმონ მეფეს. გაიმართა ძლიერი

ბრძოლა. ღვთის შეწევნით გაიმარჯვა სვიმონ მეფემ. მოადგა თბილისის ციხეს. აიღო თბილისის ციხე და თვითონ დაეუფლა ქალაქს. ვინც კი ურუმები იყვნენ თბილისის ციხეში, ყველა ამოწყვიტა. შეიტყო ეს ხონთქარმა, გამოგზავნა ლაშქარი და ერთი სარდალი. წამოვიდა ურუმთა სარდალი, მოვიდა და ხატისოფლის ბოლოს დაბანაკდა. ეს გაიგო სვიმონ მეფემ და შეკრიბა თავისი მხედრობა. ასეთი ხერხი იხმარა მაშინ მეფემ: ელჩის ტანსაცმელში გამოეწყო, მივიდა ფაშასთან და სვიმონ მეფის სახელით ეს სიტყვები გადასცა: „სვიმონ მეფე მოგახსენებთ, მეყოფა ყაენის გულისთვის ამდენი ხმლის ქნევა და ომი. თუ გინდათ, თქვენ იყავით ჩემი ბატონი, თუ არადა ისევ ის იყოსო. ახლა კი თქვენთვისაც უმჯობესი იქნება და ჩვენთვისაც, თუ შევრიგდებით და მოვრჩებით ამდენ ბრძოლებსო“.

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ფაშამ ეს რომ გაიგო, გაუხარდა. შემოუთვალა, კარგად დაგიბარებია, შერიგება სჯობსო. სვიმონმა დაზვერა მთელი მათი ძალები, ბანაკი და უკან დაბრუნდა. ღამით შემოუარა ხატისოფლის გორებს და თავს დაესხა ურუმებს. ამოწყვიტა და გაიმარჯვა სვიმონ მეფემ. ზოგი დახოცეს, ზოგი შეიპყრეს და ზოგმაც გაქცევით უშველა თავს.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

გამარჯვებული სვიმონ მეფე თბილისში ჩამოვიდა, საერთოდ გარეკა ქართლიდან ურუმები, გორის ციხის გარდა მთელ ქართლს თვითონ დაეუფლა. მანუჩარ ათაბაგმაც დაიბრუნა საათაბაგო. მეტჯერ ველარ შემოვიდნენ ურუმები ქართლში.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

## კითხვები:

- (1) **25.1.** როგორ გესმით წყაროში არსებული ფრაზა: „ყიზილბაშების რიგზე ვერ მართავდა სამეფოს“?
- (1) **25.2.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, სადაც გაიხიზნა დავითი?
- (1) **25.3.** თქვენი აზრით, რატომ არის მოხსენიებული ქართლის მმართველი დავითი წყაროში დაუთხანის სახელითაც?
- (1) **25.4.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, რა კონკრეტულმა მიზეზმა განაპირობა შაჰის გადაწყვეტილება სვიმონ მეფის ტყვეობიდან გათავისუფლების შესახებ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)



- (1) **25.5.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, ქართლის რომელი ციხის შენარჩუნება ვერ მოახერხა სვიმონ მეფემ?
- (1) **25.6.** წყაროს მიხედვით, სვიმონ მეფის რა კონკრეტულმა ქმედებებმა გამოიწვია ხონთქრის მიერ თავდაპირველად მის წინააღმდეგ ჯარის გამოგზავნა?
- (1) **25.7.** წყაროს მიხედვით, რა მოიმოქმედა სვიმონ მეფემ ჰასან ფაშას დამარცხების შემდეგ?
- (2) **25.8.** სრულად ჩამოთვალეთ, თუ რა ინფორმაციას გვაწვდის წყარო მანუჩარ ათაბაგის შესახებ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

- (2) **25.9.** წყაროს მიხედვით, რომელი ორი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელს ჩამოართვა სამფლობელოები სვიმონ მეფემ ქართლში დაბრუნების შემდეგ და რატომ?
- (2) **25.10.** წყაროს მიხედვით რა კონკრეტულმა მიზეზებმა აიძულა დავითი დაეტოვებინა საქართველო?
- (2) **25.11.** წყაროში დასახელებული ოთხი ფაშადან, ვისი დამარცხება გაუჭირდა ყველაზე მეტად სვიმონ მეფეს და წყაროშივე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ამას?
- (2) **25.12.** წყაროს მიხედვით, რა მოიმოქმედა სვიმონ მეფემ ხატისოფელში დაბანაკებული მტრის დასაზვერად და რა კონკრეტულ სამხედრო მანევრს მიმართა მათ დასამარცხებლად?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)